გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ინსტიტუტის დირექტორს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერ-სიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერ-სონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-5 მუხლით.

3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული. კანდიდატის ასაკი 65 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს (საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით), რაც მდგომარეობს შემდეგში:
   ა) ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღე-ბული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.
   ბ) უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ: სამეცნიერო დაწესებულების მართვის ორგანოებში მუშაობის ან სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის 5 (ხუთი) წლის გამოცდილება მაინც; საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან/და სამეცნიერო კომიტეტების ხელმძღვანელობის ან წევრობის გამოცდილება ან დარგობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მართვის სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება.

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელე-ფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;
ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსან-ტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარ-

მოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა.

ი) ცნობა ნასამართლეობის შესახებ ("უმაღლესი განათლების შესახებ" 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

<u>კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 22 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2023 წლის 9 იანვრიდან 2023 წლის 13 იანვრის ჩათვლით, 11:00-დან 16:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, თამარაშვილის ქ. №6, ოთახი №10.</u>

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 27 იანვრისა.